ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 58-58

“ 9 ” ივნისი 2020 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესში“ შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ც[1]“ ქვეპუნქტი:

„ც[1]. ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავი – თვითბალანსირებადი, ორთვლიანი და ერთღერძიანი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია ერთი ადამიანის გადასაყვანად და რომელიც ელექტროენერგიის ძალით მოძრაობს.“.

ბ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო

გადაყვანით დაკავებული სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის;";

გ) მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ - კ" ქვეპუნქტები:

„ზ) „A" კატეგორიის ნებართვის მქონე ტაქსის პარკირებისათვის. ამ სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებელი განისაზღვრება დანართი 7-ის შესაბამისად;

თ) ტურისტული მარშრუტებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის. ამ სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებლები განისაზღვრება დანართი 8-ის შესაბამისად;

ი) ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული საქონლის მიწოდების მიზნით სატრანსპორტო საშუალების პარკირებისათვის. ამ სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებლები განისაზღვრება დანართი 9-ის შესაბამისად;

კ) ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავის პარკირებისთვის. ამ სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებლები განისაზღვრება დანართი 10-ის შესაბამისად, ხოლო პარკირების ადგილის მოწყობას უზრუნველყოფს ის პირი, რომელსაც ამავე მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად გადაეცა შესაბამისი ლოკაცია.".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„A“ კატეგორიის ნებართვის მქონე ტაქსის პარკირებისათვის სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებელი

T
A
X
I

შენიშვნა: მანიშნებელი დაიტანება გზაზე ყვითელი ან თეთრი ფერით და სადგომზე სატრანსპორტო საშუალების დაყენების ხერხის შესაბამისად.

ტურისტული მარშრუტებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების
სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებლები



შენიშვნა: მანიშნებელი მაგრდება დგარზე (ბოძზე)



შენიშვნა: მანიშნებელი დაიტანება გზაზე, ლურჯი ფონით ან მის გარეშე

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული საქონლის მიწოდების მიზნით სატრანსპორტო საშუალების სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებლები

შენიშვნა: მანიშნებელი მაგრდება დგარზე (ბოძზე)



შენიშვნა: მანიშნებელი დაიტანება გზაზე, ლურჯი ფონით ან მის გარეშე

ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავის სპეციალური პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებლები

შენიშვნა: მანიშნებელი მაგრდება დგარზე (ბოძზე)



შენიშვნა: მანიშნებელი დაიტანება გზაზე.